

**დადგენილება №42/2020** ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის ერთჯერადად, სრულად დაფარვის შესახებ

დადგენილება №42/2020

19 ივნისი, 2020

**დადგენილება №42/2020 ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის ერთჯერადად, სრულად დაფარვის შესახებ**


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ივნისის N23 სხდომის ოქმის საფუძველზე,

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის ერთჯერადად, სრულად დაფარვისათვის გამოიყოს თანაბარი წილობრივი მონაწილეობით კონსერვატორიის ბიუჯეტიდან - 1423 (ათას ოთხას ოცდასამი) ლარი და საქართველოს სამუსიკო ხელოვნების დარგის მოღვაწეთა პროფესიული კავშირიდან - 1423 (ათას ოთხას ოცდასამი) ლარი.
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)
3. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე,

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters. The signature is written on a light-colored rectangular background.